საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2013

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2013 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 1875 მომართვა. ამავე პერიოდში საბჭომ წარმოება დაასრულა 877 საჩივარზე.

2013 წელს საბჭოს წინაშე სადავო თანხამ შეადგინა 213,2 მილიონი ლარი.

საბჭოს გამჭვირვალობის და ეფექტურობის ამაღლება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დავების განხილვის საბჭოს მუშაობაში. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ყოველ ექვს თვეში ერთხელ ხორციელდება წევრების როტაცია. გარდა ზემოაღნიშნულისა, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს საგადასახადო ომბუდსმენის წარმომადგენელი.

ამასთანავე, საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობის შემდგომი ამაღლებისა და ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, საბჭოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება საბჭოს ვებ-გვერდზე.

რეგისტრირებული საჩივრების დინამიკა



სადავო თანხის დინამიკა 2013 წლის მონაცემებით შემდეგნაირია:



გადაწყვეტილებები

2013 წელს მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 450 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 265 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 162 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.



საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი სადავო თანხების მიხედვით



მომჩივნები

2013 წელს მომჩივანთა უმეტესი ნაწილი ინდივიდუალურმა მეწარმეებმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა შეადგინეს:

მომჩივნები იურიდიული ფორმის მიხედვით



2013 წელს განხილული საჩივრებიდან ხარვეზი საერთო რაოდენობის 19%–ზე დადგინდა.



დავის საგნები

2013 წელს საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
4. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
5. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
6. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება
7. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისთვის ჯარიმის დაკისრება
8. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა.